საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/53

ქ. ბათუმი 14 ივლისი, 2022 წ.

ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პროგრამული ანგარიშების მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილების, „ბსუ-ში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 13 თებერვლის №06-01/08 დადგენილების, „ბსუ-ში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 თებერვლის №06-01/08 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 02 თებერვლის №06-01/04 დადგენილებისა და პროექტის ხელმძღვანელების/მენეჯერების: ასიე ცინცაძის, გულნარა ვერულიძის, ზაზა დავითაძის, ზაზა შაშიკაძის, ინეზა ზოიძის, ირინა ნაკაშიძის, მარიამ მეტრეველის, მარინა ნაგერვაძის, მზია ბაქრაძის, სალომე ღლონტის და შუშანა ფუტკარაძის მოხსენებების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოწონებული იქნეს ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამული ანგარიშები:

1.1. „საინფორმაციო სისტემების მრავალდონიანი მართვა QR კოდების მეშვეობით მულტიპლატფორმული სისტემებისთვის“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ზაზა დავითაძე (**დანართი 1**);

1.2. „საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიკროგამრავლების ტექნოლოგიების ოპტიმიზაცია და მათი in vitro ბანკის შექმნა“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი გულნარა ვერულიძე (**დანართი 2**);

1.3 „დაგროვებითი საპენსიო სისტემით მისაღები ოფიციალური სარგებლის ღირებულების პროგნოზირება გრძელვადიანი დეპოზიტის ღირებულების ცვლილების მიხედვით“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ასიე ცინცაძე (**დანართი 3**);

1.4. „ოსმალურენოვანი დოკუმენტები აჭარის საოჯახო არქივებში“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე (**დანართი 4**);

1.5. „ქართველი ემიგრანტების წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, ხელმძღვანელი/მენეჯერი ბსუ-ს ემერიტუსი შუშანა ფუტკარაძე (**დანართი 5**);

1.6. „აჭარის რეგიონის ეკომიგრანტების ადაპტაციის და ინტეგრაციის პრობლემები ადგილობრივ თემებში: გამოწვევები და გადაჭრის გზები (გურიის რეგიონის მაგალითზე)“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ინეზა ზოიძე (**დანართი 6**);

1.7. „მორბიდული (უკიდურესი ხარისხის) სიმსუქნის ქირურგიული მკურნალობის გავლენა პაციენტების ჰომეოსტასზე (ჰორმონალურ და მიკროელემენტების სტატუსზე) სიმსუქნესთან ასოცირებული დაავადებების მიმდინარეობაზე და პაციენტების ცხოვრების ხარისხზე“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი სალომე ღლონტი (**დანართი 7**);

1.8. „ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა ეპიდემიოლოგია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში და მათი გამომწვევი რისკ-ფაქტორების შესწავლა“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მზია ბაქრაძე (**დანართი 8**);

1.9. „VDR Fokl ((rs2228570) გენის პოლიმორფიზმის შესწავლა აუტოიმუნური თირეოიდიტით დაავადებულ პაციენტებში აჭარის პოპულაციის მაგალითზე“, ხელმძღვანელი/მენეჯერი, ახალგაზრდა მკვლევარი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი ირინა ნაკაშიძე (**დანართი 9**);

1.10. „ახალშობილთა სისხლის ერითროციტური ჯგუფური ანტიგენ-ანტისხეულების იმუნოგენეტიკური მახასიათებლების შეფასება“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარინა ნაგერვაძე **(დანართი 10)**;

1.11. „შხამიანი მცენარეები აჭარის ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ფლორაში (ეთნო-ბოტანიკური შესწავლა)“, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი მარიამ მეტრეველი **(დანართი 11)**.

5. დადგენილება გამოქვყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, მიზნობრივი პროექტების ხელმძღვანელებს, პროექტების განმახორციელებელი პერსონალის მიხედვით შესაბამის ფაკულტეტებს და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**